საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 112

ქ. ბათუმი 09 დეკემბერი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩატარების მიზნით საატესტაციო კომისიის შემადგენლობის და უფლებამოსილების ვადის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ვადის განსაზღვრისა და ატესტაციის ჩატარების წესის განხილვის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის №105 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ნოემბრის N4 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩასატარებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 1 დეკემბრის N01-08/72 და №01-08/72 ბრძანებების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის №105 დადგენილებით გამოცხადებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნათელა წიკლაშვილი - რექტორის მოადგილე, პროფესორი;

ბ) რაულ გოცირიძე - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი;

გ) გურამ მემარნე - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი;

დ) როინ მალაყმაძე - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი;

ე) ქეთევან დოლიძე - პროფესორი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი);

ვ) ნატო დიდმანიძე- ასოცირებული პროფესორი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი);

ზ) თინა შიოშვილი - პროფესორი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

თ) თამაზ ფუტკარაძე - პროფესორი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

ი) ავთანდილ მურვანიძე - ასოცირებული პროფესორი (ტექნოლოგიური ფაკულტეტი);

კ) დარეჯან ჯაში - ასოცირებული პროფესორი (ტექნოლოგიური ფაკულტეტი).

2. საატესტაციო კომისიის მუშაობის (უფლებამოსილების) ვადა განისაზღვროს 2016 წლის 12 დეკემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით.

3. საატესტაციო კომისიამ:

ა) ატესტაციის ჩატარებისას იხელმძღვანელოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ვადის განსაზღვრისა და ატესტაციის ჩატარების წესის განხილვის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 ნოემბრის №105 დადგენილებით, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ნოემბრის N4 გადაწყვეტილებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის ჩასატარებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 1 დეკემბრის N01-08/72 ბრძანებით და წინამდებარე დადგენილებით.

ბ) ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის ატესტაციით გათვალისწინებული გასაუბრება ჩაატაროს 2016 წლის 20-21 დეკემბერს.

4. დადგენილება დაეგზავნოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და კომისიის წევრებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**